საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №91/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 23 მარტის №-- საჩივრისა და 2018 წლის 23 აპრილის №-- საჩივრის საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 ივლისის №91/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მიკერძოებულად განიხილა საქმე. კერძოდ, მოპასუხემ სასამართლოს აცნობა, რომ გამოკითხვაზე იყო დაბარებული და როგორც კი გამოვიდოდა დაკითხვიდან შესაბამის დოკუმენტაციას გაუგზავნიდა სასამართლოს, დედანს კი შემდეგ სხდომაზე წარადგენდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ როდესაც პირს სატელეფონო ზარით იბარებენ გამოკითხვაზე, მას ვერ ექნება ცნობა, ამგვარი დოკუმენტი პირს ეძლევა მას შემდეგ რაც შესაბამის სამსახურში მივა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ სასამართლო სხდომის დღეს ჩაბარდა მხარეს უწყება დაახლოებით 14:00 საათზე, ხოლო სასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო იმავე დღეს 17:00 საათზე და უწყების ჩაბარებიდან 3 საათში ქვეყნის

მეორე ბოლოში გამოცხადებას ვერ შეძლებდნენ მოპასუხეები. საჩივრის ავტორის განმარტებით, სხდომათა ფორსირებულ რეჟიმში ჩატარება, ყოველგვარი გონივრულობის მიღმა არ იყო სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელი ნაწილი.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. მოსამართლე -- -- აღნიშნული ფაქტი უგულებელყო, უკანონოდ შეუზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით აზრი დაკარგა გასაჩივრებული განჩინების იდეამ. მოსამართლე ვალდებული იყო დალოდებოდა სააპელაციო სასამართლოს განჩინებას და მას შემდეგ გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება.

საჩივრის ავტორის განცხადებით 2018 წლის 9 მარტს -- რაიონულ სასამართლოში შეტანილი საჩივარი ამ დრომდე არ არის გადაგზავნილი სააპელაციო სასამართლოსთვის (2018 წლის 23 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შემოტანის დროისთვის) 20 დღიანი საპროცესო ვადის მიუხედავად, ხოლო მოსამართლის თანაშემწის განმარტება აღნიშნულთან მიმართებით იყო შემდეგი: „მოსამართლემ ასე გადაწყვიტა.“ მსგავსად აღნიშნულისა, არც კერძო საჩივრის გადაგზავნა არ მოხდა სააპელაციო სასამართლოსთვის. კერძოდ, 2018 წლის 9 მარტს გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი კერძო საჩივარი, რომელიც 5 დღის ვადაში უნდა გადაგზავნილიყო.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული ქმედებები არ წარმოადგენს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელ ნაწილს და იკვეთება მოსამართლის მიკერძოების ფაქტი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 25 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების -- --, -- -- და -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

2018 წლის 12 თებერვალს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით ჩაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 19 თებერვალს.

2018 წლის 19 თებერვალს -- რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხეების წარმომადგენელმა -- -- და ითხოვა საქმის განსჯადობით განსახილველად -- საქალაქო სასამართლოსათვის გადაცემა და ავადმყოფობის გამო, სხდომის სხვა დროისათვის გადადება.

2018 წლის 19 თებერვალს გამართული სასამართლო სხდომა გადაიდო 2018 წლის 27 თებერვალს.

2018 წლის 27 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ ადგილზე თათბირით არ დააკმაყოფილა მოპასუხის წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა საქმის განსჯადობით გადაგზავნის თაობაზე. სასამართლოს მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 5 მარტს.

2018 წლის 1 მარტს -- -- წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე.

2018 წლის 2 მარტის განჩინებით შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 5 მარტს მოპასუხის წარმომადგენელმა წარადგინა განცხადება სასამართლო სხდომის გადადებასთან დაკავშირებით.

2018 წლის 5 მარტის საოქმო განჩინებით სხდომა გადაიდო 2018 წლის 9 მარტს.

2018 წლის 9 მარტს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სხდომის გადადების თხოვნით და ასევე წარადგინა საჩივარი 2018 წლის 2 მარტის განჩინებაზე.

2018 წლის 9 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეების მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა -- რაიონის სოფელ -- მდებარე უძრავი ქონება და გათავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

2018 წლის 12 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2018 წლის 14 მარტის განჩინებით საჩივარი -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის განჩინებაზე წარმოებაში იქნა მიღებული.

2018 წლის 23 მარტს მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების და საქმის განახლების შესახებ; ასევე კერძო საჩივარი 2018 წლის 9 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე.

2018 წლის 3 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარი -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა; საჩივარი გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 9 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

2.3. -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 მაისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა 2018 წლის 9 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში - ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეების წარმომადგენელს - -- -- უწყება ჩაბარდა 2018 წლის 07 მარტს (7 გვ, ტომი II). საპროცესო კანონმდებლობა წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარებას უშუალოდ მოპასუხისათვის გზავნილისა თუ უწყების ჩაბარების ტოლფასად მიიჩნევს, წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო სხდომამდე ორი დღით ადრე, მოპასუხეები ინფორმირებულები უნდა ყოფილიყვნენ წარმომადგენლის მიერ, რომ სასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2018 წლის 9 მარტს 17:00 საათზე, რაც წარმოადგენს გონივრულ ვადას, რომელიც საკმარისია სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას, რომ მოსამართლე ვალდებული იყო დალოდებოდა საპელაციო სასამართლოს განჩინებას უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და შემდეგ გამოეტანა არსებითად გადაწყვეტილება, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს დათქმას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ამდენად, მოსამართლე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

3.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს

წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის

შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი ეხება ასევე მოსამართლის მიერ საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის ვადის დარღვევას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან დაყადაღებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

ამავე კანონის 197[1] მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლემ განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ მიიღო 2018 წლის 3 აპრილს. საქმე სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2018 წლის 13 აპრილს, 5 დღის დაგვიანებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის განცხადება მისი საჩივრის სააპელაციო სასამართლოში დაგვიანებით გადაგზავნის თაობაზე არ შეესაბამება საქმეში არსებულ მასალებს. შესაბამისად, ვადის დარღვევის უმნიშვნელო ხასიათის გამო, საქმის გაგზავნის პერიოდი ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად.

3.3. საჩივრის ავტორი მიუთითებს ასევე მოსამართლის მიკერძოებაზე. მოსამართლის მხრიდან მიკერძოების საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების მეორე მუხლის მიხედვით მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ხოლო 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების გაცნობის შედეგად მოსამართლე -- -- მხრიდან არც ერთი მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად

მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №91/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი